

საკითხები ბანკის გადახდისუნარობის შესახებ

საბანკო საქმიანობა რეგულირებული საქმიანობაა. თუ ბანკი გადახდისუნარო გახდა, ნიშნავს, რომ ის ვერ ასრულებს მისი გადახდიუნარიანობის შესანარჩუნებლად დადგენილ მარეგულირებელ ზომებს. ბანკები ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და ამიტომაც აქვს განსაკუთრებული ინტერესი საზოგადოებას საბანკო სისტემის უსაფრთხოებაში. ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია ბანკებისათვის პრუდენციული და ოპერაციული მოთხოვნების დადგენა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უსაფრთხო მართვა.

წინამდებარე სადისკუსიო ნაშრომი ეხება ბანკების გადახდისუნარობის საკითხს. მისი მიზანია, გამოიკვლიოს ბანკის გადახდისუნარობის ბუნება სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით. ნაშრომში ვეცდები, პასუხი გავცე შემდეგ შეკითხვებს:

1. არის თუ არა საჭირო ბანკებისთვის სპეციალური გადახდიუნარობის მარეგულირებელი ნორმები და შეიძლება თუ არა ისევე გაკოტრდნენ ბანკები, როგორც სხვა ორგანიზაციები?
2. რა სახის სამართლებრივი ნორმები არსებობს პრობლემული ბანკების დასარეგულირებლად?
3. რა სახის სამართლებრივი საკითხები წამოიჭრება მულტინაციონალური ბანკების გაკოტრების დროს?
4. როდის აქვს უფლება ბანკის ზედამხედველს, ჩაერიოს ბანკის გადახდიუნარობის პროცესში?

აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად წინამდებარე ნაშრომი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: პირველი თავი ეხება ბანკის გადახდისუნარობის კონტექსტს. მასში განხილულია საკითხი, რომ ბანკის გადახდისუნარობა სრულიად განსხვავებულია სხვა კომპანიების გადახდისუნარობისგან. აქვე განმარტებულია, თუ ბანკების შემთხვევაში რატომ ვერ იქნება გამოყენებული გადახდისუნარობის ზოგადი ნორმები. მეორე თავი ეხება პრობლემური ბანკების მარეგულირებელ სამართლებრივ მექანიზმს. მესამე თავში განხილულია მულტინაციონალური ბანკების გადახდისუნარობის საკითხები. მეოთხე თავი უკავშირდება ბანკის გადახდისუნარობის დროს ბანკის ზედამხედველების როლს.